# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 239

"15" ივნისი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - „ქონების მართვის სააგენტოსა" და აუქციონში გამარჯვებულ დიმიტრი ოცხელს (პ/ნ. 01010009200) შორის გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის №ე-523-2-25145 ხელშეკრულებაში" ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუქტის, $127^2$ მუხლის, „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ დიმიტრი ოცხელს (პ/ნ. 01010009200) შორის გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის №ე-523-2-25145 ხელშეკრულებაში" ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 2 ივნისის №21.720.817 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და აუქციონში გამარჯვებულ პირს - დიმიტრი ოცხელს (პ/ნ. 01010009200) შორის 2020 წლის 29 ივნისს გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის №ე-523-2-25145 ხელშეკრულებაში" და ხელშეკრულებით განსაზღვრული დანართი (სიტუაციური ნახაზი) ჩამოყალიბდეს წინამდებარე განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე


484200
484300
4615700
4615600
4615500
N
W
E
S
01.17.01.065.065
45 38.8